პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 24 თებერვალი, 1944 წ. № 39 (6933). ფასი 20 კაპ.

მოსკოვი, კრემლი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის საზეიმო კრება სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი წითელი არმიის XXVI წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს XXIII წლისთავისადმი, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, წითელი არმიისა და სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადს, საყვარელ მასწავლებელს, მამასა და მეგობარს.

უკვდავ **ლენინთან** ერთად ოცდაექვსი წლის წინათ თქვენ შექმენით წითელი არმია, მსოფლიოში პირველი ნამდვილი სახალხო არმია, გამოაწრთვეთ და აღზარდეთ იგი თავისი სამშობლოს ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

თქვენი დაუცხრომელი მზრუნველობით გარემოსილი, წითელი არმია გაიზარდა მძლავრ, ურყევ ძალად, რომელიც ღირსეულად იცავს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელმაც გაჰფანტა მითი გერმანელ ფაშისტთა არმიის უძლეველობის შესახებ და გამანადგურებელი დარტყმებით კატასტროფის წინაშე დააყენა იგი.

გერმანელთა ჯარების განადგურებამ მოსკოვთან, ისტორიაში უმაგალითო დამარცხებამ, რაც ჰიტლერელთა არმიამ სტალინგრადთან განიცადა, დიდმა გამარჯვებამ ლენინგრადის ფრონტზე, კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში გერმანელთა ათი დივიზიისა და ერთი ბრიგადის გარშემორტყმისა და მოსპობის ბრწყინვალედ განხორციელებულმა ოპერაციამ და წითელი არმიის სხვა უმნიშვნელოვანესმა გამარჯვებებმა უკრაინასა და ბელორუსიაში,—ნათლად გვიჩვენეს გენიალური სტალინური სამხედრო სტრატეგიის უპირატესობა ნაქები გერმანული სამხედრო ხელოვნების წინაშე.

წითელ არმიაში გაიზარდნენ თქვენ მიერ აღზრდილი ნიჭიერი ოფიცერთა და გენერალთა კადრები, რომელნიც დაეუფლნენ მოწინავე სტალინურ სამხედრო მეცნიერებას და ოსტატურად მოქმედებენ თანამედროვე ომის რთულ პირობებში. წითელი არმიის გმირი მებრძოლები, მთლიანად იყენებენ რა სამშობლოს მიერ მათთვის ჩაბარებულ მრისხანე საბრძოლო ტექნიკას, აუნაზღაურებელ ზარალს აყენებენ მტერს და სულ უფრო და უფრო შორს ერეკებიან მას დასავლეთისაკენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებული ისტორიული კანონები, საჯარისო ფორმირებათა შემოღების შესახებ და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების შესახებ, განსაზღვრავენ სსრ კავშირის ხალხთა შემდგომი ნაციონალური განვითარების გზებს, კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას.

საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ამ ისტორიულ კანონებს უპასუხებენ ახალი შრომითი აღფრთოვანებით, რომელიც მიმართულია გმირი წითელი არმიისადმი დახმარების გაძლიერებისაკენ.

აღვნიშნავთ რა წითელი არმიის XXVI წლისთავს და საბჭოთა საქართველოს XXIII წლისთავს წითელი არმიის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა პირობებში, ჩვენ მხურვალე მადლობის სიტყვებით მოგმართავთ თქვენ — დიდ ბელადს და მხედართმთავარს წითელი არმიისას, რომლის გმირულმა ბრძოლამ იხსნა ჩვენი აყვავებული საქართველო და მოძმე რესპუბლიკები აზერბაიჯანი და სომხეთი ჰიტლერელთა შემოსევისაგან.

სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის შვილები, დიდი რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, არ იშურებენ თავის ძალ-ღონეს, თავის სიცოცხლეს, გმირულად ებრძვიან მტერს და თავიანთი საგმირო საქმეებით კიდევ უფრო ამაღლებენ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის დიდებით მოსილ საბრძოლო ტრადიციებს.

წითელი არმიის XXVI წლისთავისადმი მიძღვნილი თქვენი ისტორიული ბრძანება წარმოადგენს მოსისხლე მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის როგორც ფრონტზე, ისე ზურგში მთელი ჩვენი ბრძოლის ბოლშევიკურ პროგრამას.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ ახალ წარმატებებს ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერების თქვენ მიერ დასახული ამოცანის შესრულებაში და ამით ღირსეულად აღვნიშნოთ წითელი არმიის XXVI წლისთავი და ჩვენი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავი.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან გმირ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს XXIII წლისთავს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას, მის ბრძნულ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას!

გაუმარჯოს წითელი არმიის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ, საყვარელ **სტალინს!**

მოსკოვი

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხანაგ ლ. პ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

ქ. თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის საზეიმო კრება, მიძღვნილი წითელი არმიის XXVI წლისთავისადმი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIII წლისთავისადმი, მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს.

საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ამ სახელოვან საბრძოლო წლისთავებს აღნიშნავენ ისეთ ვითარებაში, როდესაც გმირი წითელი არმია ძლევამოსილ შეტევას აწარმოებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მთელ მანძილზე.

წითელი არმია, დიდი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით ანადგურებს და სპობს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს, ერეკება მათ წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყლიდან.

ქართველი ხალხის შვილები დიდი რუსი ხალხის და სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, თავდადებულად იცავენ სოციალისტურ სამშობლოს, მამაცურად ებრძვიან საძულველ მტერს — ჰიტლერელ ბარბაროსებს, რომლებიც ცდილობდნენ მონობისა და უუფლებობის უღელი დაედგათ ჩვენთვის.

ქართველმა ხალხმა, რომელიც თქვენ აღზარდეთ სოციალისტური სამშობლოსადმი და დიდ ბელად ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, თავისი წრიდან წამოაყენა უშიშარი გმირები, რომლებმაც ბრძოლის ველებზე ახალი დიდებით შემოსეს თავიანთი სამშობლოს ბრწყინვალე საბრძოლო ტრადიციები. ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება თქვენი უდიდესი როლი საქართველოს და ამიერ-კავკასიის დაცვის საქმეში 1942 წლის შემოდგომის მრისხანე დღეებში.

ამიერ-კავკასიის ხალხები ბევრ რამს უნდა გიმადლოდნენ თქვენ, როგორც ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ნამდვილი აყვავების დაუღალავ ორგანიზატორს მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, როგორც მებრძოლ ხელმძღვანელს ომის დღეებში, რომელმაც ფრონტისა და ზურგის მებრძოლთა არმიები აღაფრთოვანეთ კავკასიაში გერმანელთა განადგურების სტალინური გეგმის შესასრულებლად.

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

მხურვალე მოწონებით შეხვდა მთელი ქართველი ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებულ ისტორიულ კანონებს.

საჯარისო ფორმირებათა შემოღება მოკავშირე რესპუბლიკებში, ამ უკანასკნელთა უფლებების გაფართოება საგარეო ურთიერთობის დარგში წარმოადგენენ ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმის მკაფიო გამოხატულებას. ეს გადაწყვეტილებანი გზას უხსნიან სსრ კავშირის ხალხთა შემდგომ, კიდევ უფრო ფართო ნაციონალურ განვითარებას, განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციებს.

აღვნიშნავთ რა წითელი არმიის XXVI წლისთავს და საბჭოთა საქართველოს XXIII წლისთავს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ბრწყინვალე გამარჯვებათა პირობებში, ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ფრონტისათვის დახმარებას, ვიმუშავებთ ჩვენი ძალღონის დაუზოგავად, რათა დავაჩქაროთ საძულველი მტრის საბოლოო განადგურება.

წითელი არმია და სსრ კავშირის ხალხები ღირსეულად სძლევენ და ბოლომდე დასძლევენ დიდი სამამულო ომის მიერ მათ წინაშე დასახულ ურთულეს ამოცანებს, ვინაიდან ისინი წინ მიჰყავს თანამედროვეობის უდიდესი ადამიანის, ბრძენი ბელადისა და მხედართმთავრის დიდი **სტალინის** გენიას.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან გმირ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს XXIII წლისთავს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, ამხანაგ **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს — ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება წითელი არმიის ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობისათვის

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით, წითელი არმიის ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი".

სულ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 6 ოფიცერს, სერჟანტსა და რიგით მებრძოლს. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 თებერვლის ოპერატიული ცნობა

23 თებერვლის განმავლობაში ქალაქ ლუგის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი და რკინიგზის დიდი სადგური სტრუგი კრასნიე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დუბროვო, ჟუპანოვო, ლუდონი, ველენი, უჩირსკი, ტერე_ბუნი, ხრედინო, ზალაზი, პოროჩიე, ვიდონი, ზამუშკი.

ილმენის ტბის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევის განვითარებას და ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სიტნია, ზელემენიე, გოროდიშჩე, ლუკომა, ზალესიე, ზამოშკი, შილ_სკაია, ვისკოდი, ვიშენკა, გავროვო, დროზდიხა, ხოტოვანი, ადერშინო, პეტროვო, სემიონოვშჩინა და რკინიგზის სადგურები ქუკლინო, ლემენკა, ბაჩკი, პოლონკა, დნო მე-8. ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და ზედ მიადგნენ ქალაქ და რკინიგზის დიდ კვანძ დნოს და გააჩაღეს ქუჩის ბრძოლები ქალაქის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ განაპირა უბნებში.

ქალაქ კრივოი როგის ჩრდილო_დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები.

22 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 140-ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 20 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი თვითმფრინავების თავდასხმა ქალაქ აბოზე (ტურკუზე)

22 თებერვალს ღამით ჩვენმა ავიაციამ მოახდინა მასირებული თავდასხმა ფინეთის სანავსადგურო ქალაქ აბოზე (ტურკუზე) და დაბომბა ამ ქალაქის სამხედრო-სამრეწველო ობიექტები. დაბომბვის შედეგად გაჩნდა ბევრი ხანძარი, რასაც თან სდევდა აფეთქებები. განსაკუთრებით დიდი ხანძრები და ძლიერი აფეთქებები შემჩნეულ იქნა გემსაშენისა და მექანიკური ქარხნის ტერიტორიაზე, აგრეთვე მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობთა რაიონში. ოთხი ჩვენი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა თავის ბაზებში.

უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები იმის შესახებ, თითქოს რუსეთის თვითმფრინავებს ბომბები ჩამოეყაროთ სტოკჰოლმის რაიონში. არც ერთი ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება. რუსეთის არავითარი თვითმფრინავები სტოკჰოლმის რაიონში არ ყოფილან და ამიტომ მათ არ შეეძლოთ ბომბები ჩამოეყარათ ამ რაიონში.

• • •

ქალაქ ლუგის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ლენინგრადის ოლქის რაიონული ცენტრი და რკინიგზის დიდი სადგური სტრუგი კრასნიე, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ერთ უბანზე ნ ნაწილის მებრძოლებმა წინ წაწევის დროს გაჟლიტეს გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ამავე ნაწილის არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა დააზიანეს მტრის 4 ტანკი, 7 ქვემეხი და ააფეთქეს საომარი მასალების სამი დიდი საწყობი. სხვა რაიონში ბატალიონმა კაპიტან ტიშინის მეთაურობით მოწინააღმდეგის ზურგში გზატკეცილი გადასჭრა და სამი დღე-ღამის განმავლობაში ინარჩუნებდა მას მთავარი ძალების მისვლამდე. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიში და გაჟლიტეს 200-ზე მეტი ჰიტლერელი.

• • •

ილმენის ტბის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. საბჭოთა მებრძოლები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, სპობდნენ მის ცოცხალ ძალას და ტექნიკას და გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან გაათავისუფლეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ნ შენაერთის ნაწილებმა სწრაფად წაიწიეს წინ, გაანადგურეს მტრის თავდაცვის რამდენიმე კვანძი და გააჩაღეს ბრძოლები ქალაქ და დიდ სარკინიგზო კვანძ დნოს განაპირა უბნებში. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 1.500-ზე მეტი ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვედ წამოვიყვანეთ ბევრი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ქალაქ კრივოი როგის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ქალაქ კრივოი როგის მისადგომებზე მომხდარ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა, არასრული ცნობებით, გაჟლიტეს 6.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. გერმანელებს წაართვით 16 ტანკი, 100-ზე მეტი ქვემეხი, 680 ტყვიამფრქვევი, 7 ათასი ავტომატი და შაშხანა, 660 ავტომანქანა, 170 ვაგონი და ბევრი საზიდარი ტვირთიანად, 6 დიდი საწყობი საომარ მასალიანად და სამხედრო ქონებიანად. სწარმოებს იმ დავლის დათვლა, რომელიც ხელთ ვიგდეთ ქალაქ კრივოი როგში.

• • •

მოლდაველთა პარტიზანული რაზმი, როცა იგი საბრძოლო დავალების შესასრულებლად მიემართებოდა, შეხვდა გერმანელთა ერთ ბატალიონ ქვეით ჯარს. პარტიზანებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და გააფთრებულ ბრძოლაში მოსპეს 100-მდე ჰიტლერელი. კამენეც-პოდოლსკის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა შეაღწია რკინიგზის სადგურზე და ააფეთქა მტრის ეშელონი საწვავიანად. გაჩნდა დიდი ხანძარი, რომელსაც თან სდევდა ძლიერი აფეთქებანი. მოსპობილია 20 ცისტერნი საწვავიანად და 32 ვაგონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

• • •

უმაღლეს მთავარსარდალ ამხანაგ სტალინის ბრძანებამ წითელი არმიის 26-ე წლისთავის შესახებ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა უდიდესი აღფრთოვანება და ახალი პატრიოტული აღტყინება გამოიწვია. მიტინგებსა და კრებებზე მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია მხურვალედ მიესალმებიან სახელოვან წითელ არმიას, საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს და აცხადებენ, რომ უზრუნველჰყოფენ წითელ არმიას ყოველივე იმით, რაც საჭიროა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა უსწრაფესი და საბოლოო განადგურებისათვის.

მოსკოვის მეტალურგიულ ქარხანა „სერპ ი მოლოტში" შემდგარ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა მეფოლადემ ამხ. დროზდოვმა. მან სთქვა: „უდიდესი კმაყოფილებითა და სიამაყის გრძნობით შევხვდით ამხანაგ სტალინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის ღონისძიებანი ახლოებენ ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს. ჩვენ ვეცდებით გავადიდოთ ლითონის გამოდნობა, რათა წითელ არმიას შეეძლოს კიდევ უფრო შემმუსვრელი დარტყმები აგემოს გერმანელ ქვეწარმავლებს. დიდი და ბრძენი ბელადი მოგვიწოდებს ფხიზლად შევაფასოთ მტრის ძალები, ვიყოთ ფხიზელნი, არ დავიწყოთ ყოყოჩობა, არ დავუშვათ თვითდამშვიდებულობა და უდარდელობა. ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ამხანაგ სტალინს, რომ საბჭოთა მუშები პირნათლად შეასრულებენ მის მითითებებს. მე ვალდებულებას ვკისრულობ თითო გამოდნობაზე დავალების გადამეტებით ხუთი ტონა ფოლადი გამოვუშვა". ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მუშებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი პროდუქციის გამოშვების გადიდების დარგში.

დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა მიტინგებმა ლენინგრადის საწარმოებში. იმ ქარხნის კოლექტივის მიტინგზე, სადაც პარტკომის მდივნად არის ამხ. კაპრალოვი, სიტყვა წარმოსთქვა სამექანიკო-თერმული საამქროს ბრიგადირმა ამხ. გრიშინმა. „მტრის ბლოკადისაგან ლენინგრადის განთავისუფლება, — სთქვა მან, — ჩვენი გმირი წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებაა. ჩვენ ისე ვიმუშავებთ, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის. ჩემი ბრიგადა სტახანოვურ ვახტზე დადგა და ერთიორად გაადიდა პროდუქციის გამომუშავება. გუშინ და დღეს თითოეულმა ჩვენგანმა ორი-ორნახევარი ნორმა გამოიმუშავა". [illegible] საამქროს მუშა ქალმა ამხ. ლურკომ განაცხადა: „სულითა და გულით მადლობელი ვართ ჩვენი წითელი არმიისა და დიდი მხედართმთავარ ამხანაგ სტალინისა. ლენინგრადი კვლავ სუნთქავს სრული მკერდით. ჩვენ ამხანაგ სტალინს ვაძლევთ ურღვევ სიტყვას, რომ კვლავაც ვიმუშავებთ ფრონტულად, ლენინგრადულად".

კუიბიშევის მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშებმა წითელი არმიის წლისთავი აღნიშნეს პროდუქციის გეგმის გადამეტებით გამოშვებით. 23 თებერვალს ქარხნის კოლექტივმა ფრონტზე გაგზავნა ნაკეთობანი, რაც დამზადებული იყო თებერვლის გეგმის გადამეტებით. ქარხნის საამქროებში შედგა ხალხმრავალი მიტინგები. ზეინკალმა ამხ. ფეოქტისტოვმა ყველა მუშის საერთო მოწონებით განაცხადა: „დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა მხურვალედ მიესალმება მამაც წითელ არმიას. ჩვენ სიტყვას ვაძლევთ საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ თავდადებული შრომით კიდევ უფრო მეტად დავეხმარებით წითელ არმიას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ მის წმიდა ბრძოლაში".

საზეიმო კრება, მიძღვნილი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXVI წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს XXIII წლისთავისადმი

გუშინ საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო კრება ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მიძღვნილი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXVI წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს XXIII წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული.

ალისფერ ტილოებზე აღბეჭდილია სიტყვები მხურვალე მისალმებისა, უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულებისა **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი. გენიალურ მხედართმთავარ, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინისადმი**, რომლის წინამძღოლობითაც ძლევამოსილი წითელი არმია ანადგურებს მტერს, აახლოებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვების დღეს.

სცენის სიღრმეში არის წითელი არმიის დიდი ორგანიზატორების — **ვ. ი. ლენინის** და **ი. ბ. სტალინის** სკულპტურული ფიგურები, ამხანაგების **ვ. მ. მოლოტოვისა** და **ლ. პ. ბერიას** პორტრეტები.

მაღლა, სცენის თავზე, ელვარე — წითელ ტილოზე წარწერილია სიტყვები მგზნებარე მისალმებისა გენიალურ მხედართმთავარ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.**

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან ამხანაგები ჩარკვიანი, ბარამია, სტურუა, არმიის გენერალი ტიულენევი, ვ. ბუჟიაშვილი, იშხანოვი, შარია, ჯაში, ს. ხოშტარია, კოჭლამაზაშვილი, ჩერქეზია, ზ. კეცხოველი, გოჩაშვილი, ეგნატაშვილი, ეფიმოვი, გუდიმენკო, გლუშენკოვი, ხორობრიხი, ხადეევი, სოციალისტური შრომის გმირები წიკლაური, გელაძე და კობრეიძე, ამხ. ჩუბინიძე, ვაცეკი, ბარიგიანი, ჩხუბიანაშვილი, ლელიანი, ჰეჭინაძე, გოგუა, აკადემიკოსები მუსხელიშვილი, ჯანაშია, ჯანელიძე, ნ. კეცხოველი, პროფესორი ერისთავი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ხორავა, ფასაძე, ლამბაშიძე, ლეონიძე, გამსახურდია და სხვ.

საზეიმო კრებას ხსნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. სტურუა.

შემოაქვთ წინადადება არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმი.

— დიდი სტალინი!

ყველა დამსწრენი, ერთი გრძნობით მოცულნი, ფეხზე ამდგარნი, ხანგრძლივი ოვაციით გამოხატავენ თავიანთ მხურვალე სიყვარულს და უსაზღვრო ერთგულებას დიდი **სტალინისადმი.** მქუხარე, აღტაცებული ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება.

მთელი დარბაზის ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგები **ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, გ. მ. მალენკოვი, ა. ს. შჩერბაკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი.**

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. მ. ბარამიას.

ამხ. მ. ბარამიას მოხსენება არაერთხელ იქნა შეწყვეტილი მქუხარე ტაშით, რომელიც აღტაცებულ ოვაციად იქცეოდა, როცა მომხსენებელი ლაპარაკობდა საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის გენიალურ ბელად დიდ **სტალინზე,** რომლის წინამძღოლობითაც საბჭოთა ხალხის შეიარაღებული ძალები სასტიკ დამარცხებებს აყენებენ ჰიტლერულ დამპყრობლებს, ფაშისტური სიბილწისაგან ათავისუფლებენ წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალს.

ამხ. მ. ბარამია ლაპარაკობს ქართველი ხალხის შვილების გმირობაზე, რომლებიც მამაცურად იბრძვიან მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებულ შრომაზე, რომლებიც ახალი შრომითი აღფრთოვანებით უპასუხებენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებულ კანონებს.

დარბაზში კვლავ ჰქუხს ხანგრძლივი ტაში, როცა ამხ. ბარამია ლაპარაკობს ქართველი ხალხის საყვარელ შვილზე, ამხანაგ **ლ. პ. ბერიაზე** — საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ნამდვილი აყვავების ორგანიზატორზე, იმ უდიდეს მუშაობაზე, რაც გასწია ამხანაგ **ლ. პ. ბერიამ** ამიერ-კავკასიის თავდაცვის მოწყობაში.

შემოაქვთ წინადადება გაეგზავნოს მისალმება დიდ **სტალინს.**

დარბაზში გრიალებს მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. საზეიმო კრების მონაწილენი, ფეხზე ამდგარნი, ხანგრძლივი ტაშით იღებენ მისალმებას ამხანაგ **სტალინისადმი.**

კრება ხანგრძლივი ტაშით, აღფრთოვანებით იღებს მისალმებას ამხანაგ **ლ. პ. ბერიასადმი.**

კოლმეურნეებს კრედიტები ეძლევათ საბინაო მშენებლობისათვის

სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს სმოლენსკის ოლქის კოლმეურნეებს, რომლებიც გერმანელ ოკუპანტთაგან დაზარალდნენ. გასულ წელს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მათ 16,5 მილიონი მანეთის გრძელვადიანი კრედიტი მიიღეს. 2 ათასამდე ოჯახმა აიშენა ახალი ქოხები. ამ წლის პირველ კვარტალში კოლმეურნეებს მშენებლობისათვის მიეცათ 5 მილიონი მანეთი. (საკდესი)

მის აღმატებულებას

იოსებ ბ. სტალინს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს მთავარსარდალს

წითელი არმიის 26-ე წლისთავის გამო მსურს გულწრფელად მოგილოცოთ თქვენ, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, დიდი და მრავალმნიშვნელოვანი გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა გასული წლის განმავლობაში. საუცხოო წარმატებანი, რომლებსაც მიაღწია წითელმა არმიამ თქვენი ხელმძღვანელობით, აღმაფრთოვანებელი იყო ყველასათვის. ლენინგრადის გმირული დაცვა ამას წინათ დაგვირგვინდა და ანაზღაურებულ იქნა მტრის შემმუსვრელი დამარცხებით ამ ქალაქის კარიბჭესთან. წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის შედეგად მონობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლებული არიან მილიონობით საბჭოთა მოქალაქენი. ეს წარმატებანი იმ თანამშრომლობასთან ერთად, რომლის შესახებაც მიღწეულ იქნა შეთანხმება მოსკოვსა და თეირანში, უზრუნველჰყოფენ ჩვენს საბოლოო გამარჯვებას ნაცისტ აგრესორებზე.

ფრანკლინ დ. რუზველტი

ბ-ნ ჩერჩილის მიმართვა მარშალ სტალინისადმი

წითელი არმიის ამ 26-ე წლისთავზე გითვლით თქვენ და ყველა სამხედრო თანამდებობრივ პირთ ჩემს ღრმა აღტაცებას მათი სასახელო მიღწევების გამო. აღფრთოვანებულნი თქვენ მიერ და თქვენი ხელმძღვანელობით მოქმედნი, აღფრთოვანებულნი რუსეთის მიწა-წყლისადმი თავიანთი სიყვარულით, თავიანთი მეთაურების უნარისა და გამბედაობისადმი რწმენით აღსავსენი, ისინი წავლენ წინ გამარჯვებისაკენ და გამარჯვების გზით—საპატიო ზავისაკენ.

მის აღმატებულებას

მარშალ სტალინს

მოსკოვი

წითელი არმიის 26-ე წლისთავზე, რომლის ძლევამოსილ ბრძოლას თქვენი უმაღლესი სარდლობით საფრანგეთი ენტუზიაზმით ადევნებს თვალყურს, ჩემი ქვეყანა უცხადებს საბჭოთა კავშირს, საერთო ბრძოლაში ამხანაგს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს ჩვენი საერთო მტრის—გერმანიის განადგურებას.

გენერალი დე გოლი

კანადის პრემიერ-მინისტრ ვ. ლ. მაკენზი კინგის მიმართვა წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლისადმი

წითელი არმიის შექმნის ოცდამეექვსე წლისთავის გამო მსურს კანადის მთავრობისა და ხალხის სახელით გადმოგცეთ თქვენ, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, კანადის მილოცვა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და ხალხის შესანიშნავ საომარ ღონისძიებათა მაღალი შეფასება.

თავისი ისტორიის ოცდამეექვსე წლის განმავლობაში წითელმა არმიამ შეავსო თავისი სახელოვანი ბრძოლების სია მთელი რიგი შესანიშნავი მიღწევებით სხვადასხვა საბრძოლო ფრონტზე ლენინგრადიდან შავ ზღვამდე. ღერძის ქვეყნები—დამპყრობლები საბოლოოდ იქნენ განდევნილნი რუსეთის მრავალი ათასი კვადრატული მილი მიწა-წყლიდან. გერმანიის არმიები დამარცხებულ და უკუქცეულ იქნენ. წითელი არმიის და მთელი საბჭოთა ხალხის გამბედაობამ, უნარმა და სიმტკიცემ განუზომლად შეუწყეს ხელი გაერთიანებული ერების საქმის წინწაწევას საბოლოო და სრული გამარჯვების გზით.

ამხანაგ სტალინის ბრძანებას საქართველოს მშრომელები ახალი პატრიოტული საქმეებით უპასუხებენ

დიდი ბელადის და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** 23 თებერვლის ბრძანებამ საბჭოთა ხალხის უდიდესი აღფრთოვანება და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. საქართველოს მშრომელები — მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია პატრიოტული აღფრთოვანებით და ახალი საბრძოლო ვალდებულებებით უპასუხებენ ბელადის ისტორიულ ბრძანებას. ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზებზე და მაღაროებში, საკოლმეურნეო სოფლებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივი ამხანაგ **სტალინის** 23 თებერვლის ბრძანებას უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. საამქროებში აგიტატორთა საუბრების დროს გამოსული მუშები ერთსულოვნად გამოსთქვამდნენ თავიანთ მზადყოფნას — კიდევ უფრო თავდადებით იმუშაონ, დაუცხრომლად ზარდონ შრომის ნაყოფიერება, სულ უფრო მზარდი დახმარება გაუწიონ ფრონტს, წითელ არმიას ვერაგი მტრის — გერმანელი ოკუპანტების განადგურების საქმეში.

ამწყობ საამქროში, რომლის კოლექტივმა იანვრის დავალება პირნათლად გაანაღდა და წარმატებით იბრძვის თებერვლის გეგმის შესრულებისათვის, ბრიგადირმა გ. ოსიპოვმა განაცხადა: დიდი სტალინის ბრძანება სამშობლოს ბრძანებაა. იგი მოგვიწოდებს ვიმუშაოთ კიდევ უკეთესად, მეტი თავდადებით, განუწყვეტლივ მივცეთ ქვეყანასა და ფრონტს თავდაცვითი პროდუქცია. დიდი ბელადის ბრძანებას ჩვენ თავდადებული შრომით ვუპასუხებთ და ამით მტერზე საბოლოო გამარჯვებას კიდევ უფრო მოვაახლოებთ. ამხ. ოსიპოვმა ბრიგადის სახელით იკისრა თებერვლის გეგმის 120 პროცენტით შესრულება. ამავე საამქროს პირველი კომპლექსის ოსტატმა ნ. მაისურაძემ, რომელიც ყოველთვიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს, ბელადის ბრძანების პასუხად იკისრა ბრიგადის თვიური გეგმა 250 პროცენტით შეასრულოს და დაეხმაროს სხვა ბრიგადებს მუშაობაში.

ცხოველი ინტერესით ჩატარდა აგიტატორთა საუბრები ბელადის სახელობის ქარხნის სხვა საამქროებშიც. საბარგო ვაგონების საამქროში მექვაბე ბრიგადირმა ამხ. ი. მახაიძემ სთქვა: მადლობა დიდ მხედართმთავარს ბრძენ სტალინს, მადლობა წითელ არმიას იმ ბრწყინვალე გამარჯვებებისათვის, რომლებითაც მთელი საბჭოთა ხალხი ამაყობს. ახლოვდება ჰიტლერელთა საბოლოო განკითხვის ჟამი. მაგრამ როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, მტერი თვით არ გადავარდება უფსკრულში. წითელი არმიის გამანადგურებელი დარტყმები მტრისადმი და ზურგის მუშაკთა თავდადებული ფრონტული მუშაობა უზრუნველჰყოფს ჩვენს გამარჯვებას. მოვუწოდებ ყველას — გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ. პირადად მე პირობას ვიძლევი საწარმოო დავალება ორმაგად შევასრულო.

რადიოქარხნის კოლექტივი გულმხურვალედ შეხვდა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის სტალინის 23 თებერვლის ბრძანებას.

ქარხნის აგიტატორებმა საფუძვლიანად გააცნეს დამსწრეთ დიდი სტალინის ისტორიული ბრძანება. მთავარი მექანიკური განყოფილების ბრიგადირმა ამხ. ჯანელიძემ საუბრის დროს განაცხადა, რომ გმირი წითელი არმიის წარმატებებით აღფრთოვანებულნი კიდევ უფრო მეტი მონდომებით იმუშავებენ ფრონტის დასახმარებლად. ამხ. ჯანელიძემ ვალდებულება იკისრა შრომის ნაყოფიერება ერთიორად გაზარდოს და ამით დაეხმაროს ფრონტს ჰიტლერელი არამზადების საბოლოო განადგურების საქმეში.

სპეცსაამქროს უფროსმა ამხ. კლეცკიმ განაცხადა, რომ ზურგში გმირული შრომით დაეხმარება გმირ წითელ არმიას ფაშისტ ავანტიურისტთა გარდუვალ განადგურებაში.

ლ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, მუშა-მოსამსახურეებმა და სტუდენტებმა გაიცნეს უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** ბრძანება წითელი არმიის XXVI წლისთავთან დაკავშირებით.

დამსწრეთა შორის განსაკუთრებული სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია იმან, რომ წითელმა არმიამ, ძლევამოსილად დაამსხვრია რა მტრის ხანგრძლივ, ღრმად ეშელონირებულ სიმაგრეთა მძლავრი სისტემა და ზამთრის კამპანიის სამი თვის განმავლობაში დამპყრობლებისაგან გასწმინდა 200 ათასამდე კვადრატული კილომეტრი საბჭოთა მიწა-წყალი, მტერს წაართვა 13.000-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის 82 ქალაქი და 320 სარკინიგზო სადგური. ჰიტლერული გერმანია შეუკავებლად მიდის კატასტროფისაკენ. გერმანელი ფაშისტი ავაზაკები ახლა აქეთ-იქით აწყდებიან და კატასტროფიდან გადარჩენის გზებს ეძებენ. წითელმა არმიამ მიაღწია გადამწყვეტ მობრუნებას ომში საბჭოთა ქვეყნის სასარგებლოდ და ახლა რწმენით აღსავსე მიდის მტერზე საბოლოო გამარჯვებისაკენ.

— ბელადის ბრძანება გვაფრთოვანებს და ძალას გვმატებს ახალი წარმატებებისათვის,— ამბობს ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ბ. იაკობაშვილი, — ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, ამ ბრძანების პასუხად კიდევ უფრო გააძლიერებს ბრძოლას იმისათვის, რომ ყოველმხრივ უფრო ნაყოფიერად დაეხმაროს გმირ წითელ არმიას და ფრონტს საძულველი მტრის—გერმანელი ფაშისტი ავაზაკების საბოლოო განადგურების დაჩქარებაში. ინსტიტუტის პედაგოგიური პერსონალი, მუშა-მოსამსახურეები, სტუდენტობა ყველაფერს გააკეთებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური, გამობრძმედილი, ჩვენი ქვეყნისათვის თავდადებული სპეციალისტების მოსამზადებლად, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიერ ფრონტისა და ქვეყნისათვის სულ მეტი და მეტი პროდუქტების მისაწოდებლად.

სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის დეკანმა დოც. გ. ჯაფარიძემ, სუბტროპიკული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ამხ. თ. კეშელავამ. კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ი. ბერიამ, პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ქეთო დგებუაძემ და სხვ.

გორის რაიონის საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში იმართება ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ **სტალინის** 23 თებერვლის ბრძანებისადმი. რაიონის მშრომელები ბელადის ბრძანების საპასუხოდ ახალ საბრძოლო ვალდებულებებს კისრულობენ.

მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა მიტინგი გორის საკონსერვო ქარხანაში. მიტინგზე შეკრებილთ ბრძანება გააცნო საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მიხანაშვილმა. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს და ახალი ვალდებულებები იკისრეს მთავარი საამქროს ცვლის ინჟინერმა ნინო ავსაჯანაშვილმა, სამურაბე საამქროს ინჟინერმა ჟენია მანოხინამ, სათუღუზე საამქროს ორასოვანმა მუშამ კორაიაკოსტაიამ და სხვებმა. კერძოდ ამ უკანასკნელმა იკისრა წლიური გეგმის 200 პროცენტით შესრულება. მთლიანად ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა პირველი კვარტალის გეგმა შეასრულოს 15 მარტისათვის, დაუცხრომლად ზარდოს შრომის ნაყოფიერება და მეტი პროდუქცია მისცეს ფრონტსა და ქვეყანას.

დიდი აქტიურობით ჩატარდა აგრეთვე მიტინგები რკინიგზის სადგურში, ხიდისთავისა და სხვა კოლმეურნეობებში. კოლმეურნეები კისრულობენ საუკეთესოდ მოემზადონ და ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, დაუღალავად იბრძოლონ მაღალი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის.

საქართველოს მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ დიდი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ისტორიული ბრძანების განხორციელებისათვის, ვერაგ მტერზე — ჰიტლერელ დამპყრობლებზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად.

წითელი არმიის გენერლებისა და ოფიცერთა შემადგენლობის დაჯილდოება სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენებით

საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

სუვოროვის I ხარისხის ორდენით — გენერალ-ლეიტენანტი ი. ტ. კოროვნიკოვი, არმიის გენერალი კ. ა. მერეცკოვი;

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით — გენერალ-მაიორი ი. მ. ვექტოროვი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი გ. ე. დეგტიაროვი, გენერალ-ლეიტენანტი ფ. პ. ოზეროვი, გენერალ-ლეიტენანტი ს. ვ. როგინსკი, გენერალ-ლეიტენანტი ტ. ფ. შტიკოვი;

სუვოროვის II ხარისხის ორდენით — 5 კაცი;

კუტუზოვის II ხარისხის ორდენით — 6 კაცი. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა ტანკების მიერ ღამით მოწყობილი გაბედული რეიდი

ამას წინათ ღამით გვარდიის მაიორ ალექსანდრე ჩორნების სატანკო ბატალიონმა უაღრესად გაბედული რეიდი მოაწყო გერმანელთა თავდაცვის სიღრმეში.

გერმანელებს მეტად ხელსაყრელი ზღუდე ეკავათ. ცალი მხრით ზღუდე ჭაობიან ნოტიან განიერ მდინარეს ებჯინებოდა. მდინარიდან თავდაცვის ხაზი მაღლობებზე გადადიოდა, რომელთა შორის გადიოდა ირგვლივ მრავალ კილომეტრზე ერთადერთი ვიწრო მშრალი გზა. მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან გადაჭიმული იყო ჭაობები აქა-იქ მეჩხერი პატარა ტყით. ჭაობებს შორის, თითქო პატარა კუნძულებიაო, გაფანტული იყო პატარა სოფლები, რომლებიც ეკავათ გერმანელთა თავდაცვის მეორე ხაზის ნაწილებს. მხედველობაში იღებდა რა გზის დიდმნიშვნელობას, მტერმა ყოველ ოთხ-ხუთ კილომეტრზე გზის გასწვრივ ცეცხლოვანი ბარიერები გააკეთა; თითო ბარიერის შემადგენლობაში შედიოდა რამდენიმე მსუბუქი და მძიმე საარტილერიო ბატარეა.

გვარდიის მაიორ ჩორნების სატანკო ბატალიონმა ბრძანება მიიღო—გერმანელთა თავდაცვის ხაზის გარღვევისთანავე წინ წასულიყო და გზიდანვე დაეკავებინა მოწინააღმდეგის დიდი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც წინ ოციოდე კილომეტრზე მდებარეობდა.

მანქანები ერთმანეთზე გადაბმულებივით მიდიოდნენ. შოფერები დაძაბულად აცქერდებოდნენ წყვდიადს, ეშინოდათ თვალიდან არ დაეკარგათ წინ მიმავალი ტანკის ნაკვთები, რასაც ძლივს ხედავდნენ.

ბატალიონი სალაშქრო კოლონად მიდიოდა გაძლიერებული მარშით, ასე იარეს ოცდაათ წუთს. და უეცრად წინ, ერთნახევარ კილომეტრზე, სადაც უკვე იყო სალაშქრო საგუშაგოს ორი ტანკი, ჰორიზონტი ხანმოკლე ალმა გაანათა. გერმანელთა ექვსმა ტანკსაწინააღმდეგო ბატარეამ, გზის გასწვრივ რომ იყო განლაგებული, სროლა ასტეხა.

— წინ! — გასცა ბრძანება მაიორმა რადიოთი.

გვარდიის უმცროს ლეიტენანტ ინოკენტი მოროკინის ტანკი გაიჭრა მტრის ბატარეისაკენ. მისმა წამყვანმა კონსტანტინე მელეხინმა უაღრესი სიჩქარით წაიყვანა მანქანა. მათ მუხლუხებს ჭახანით და ზათქით, სწრაფად მიჰყვა კიდევ ორი მანქანა. სამმა ტანკმა გზიდანვე აუტეხა სროლა შუქს, მტრის ბატარეების სროლისას რომ ჩნდებოდა. ეს იყო ერთადერთი ორიენტირი უკუნეთ ღამეში.

მტრის ბატარეების დასახმარებლად გამოეშურნენ თვითმავალი ქვემეხები. გზაზე გადახვევა შეუძლებელი იყო. ტანკებმა შეატრიალეს კოშკურები, რომ ერთმანეთი არ დაეზიანებინათ და ასტეხეს გამანადგურებელი გაშლილი საწინააღმდეგო სროლა.

ბატალიონის მეთაურმა გადასწყვიტა იერიშის უეცრობითა და სიჩქარით ჩაეხშო გერმანელთა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ზემოქმედება. გაშლილმა სროლამ სამი წუთის განმავლობაში გაანადგურა გერმანელთა პირველი გადამღობი ბარიერი — ტანკსაწინააღმდეგო ბატარეებმა მეოთხე წუთზე შესწყვიტეს წინააღმდეგობა. სატანკო ავანგარდმა შეაღწია გერმანელთა პოზიციებზე, მას კი სიგნალის მიხედვით მიჰყვა წინ მთელი დანარჩენი ბატალიონი.

ღამით მოწყობილმა თავდასხმამ წარმოუდგენელი პანიკა შექმნა მტრის რიგებში. გერმანელმა არტილერისტებმა ზარბაზნები მიატოვეს და გაიქცნენ. გრიგოლ კრუპსკის, ალექსანდრე ბურდიგინისა და ლუკიანე უშაკოვის ტანკები თელავდნენ მტრის სანგრებს. იქიდან ამოხტოდნენ მტრის ქვეითები და აქეთ-იქით გარბოდნენ. მოტომსროლელთა მეორე რაზმი, რომელიც ტანკებში იჯდა, მანქანებიდან გადმოხტა და საქმე დაამთავრა.

ტანკები დაუყოვნებლივ წინ გაემართნენ. უეცარი თავდასხმით გერმანელთა კავშირგაბმულობის ყველა ხაზი მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველ ზღუდეზე დანგრეულ იქნა. ამან შესაძლებელი გახადა, რომ მოუმზადებელს დაუტყდომოდით თავს მეორე ზღუდეზე მყოფ ჰიტლერელებს, რომლებიც საფრთხეს სრულებით არ მოელოდნენ.

აქ ანგარიშის გასწორება კიდევ უფრო სწრაფი იყო. გერმანელთა გარნიზონი, რომელიც შედარებით უშიშრად გრძნობდა თავს, ისვენებდა. ჯარისკაცებს სახლებში ეძინათ. ისინი სროლამ გამოაღვიძა. თეთრეულის ამარა მიცვივდნენ ისინი იარაღს, მაგრამ გვიანღა იყო. გვარდიის ლეიტენანტ ივანე ალექსანდროვის მეწინავე ტანკმა გადაიქროლა სოფელზე და უკან დასახევი გზა მოუჭრა მტერს. მოტომსროლელები გვარდიის ლეიტენანტ კოროლიოვის მეთაურობით სახლებში იჭრებოდნენ და ქლეტდნენ გერმანელებს, რომლებიც კი წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ამ პუნქტში მტერმა 20 ქვემეხი დასტოვა.

დიდ ხანს გაჩერება შეუძლებელი იყო. ბატალიონის მეთაურმა, შეაფასა რა სწრაფი წინსვლის შედეგად შექმნილი მეტად ხელსაყრელი ვითარება, გადასწყვიტა ერთი წუთითაც არ დაეყოვნებულიყო და წინ წასულიყო. უფრო ბნელდებოდა წარმატებით აღფრთოვანებული ადამიანები წინ მიისწრაფოდნენ.

მალე წინ შუქი გამოჩნდა, სალაშქრო სატანკო კოლონის პირისპირ ავტომანქანების ტრანსპორტი მოდიოდა. რას მოიფიქრებდნენ გერმანელები, რომ მათს ზურგში რუსების ტანკებს შეხვდებოდნენ? ისინი მოდიოდნენ აუჩქარებლად სრული შუქით. ტანკებმა თითქმის მთელი კოლონა გაიარეს, მარცხნივ მიაბრუნეს კოშკები და ტყვიამფრქვევებისა და ზარბაზნების სასტიკი სროლა ასტეხეს. ავტომობილთა ნაწილი წინ გამოეშურა, ნაწილი უკუსვლით წავიდა, ხოლო უმეტესობა მკვეთრი დამუხრუჭებით შეჩერდა. კოლონაში წარმოუდგენელი არევ-დარევა ასტყდა. მანქანები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, შოფერები და ჯარისკაცები, რომლებიც ტვირთს დარაჯობდნენ, გაიქცნენ. მათ ავტომატის ცეცხლით მისდევდნენ და თითქმის არავინ გაუშვეს. ხუთი წუთის შემდეგ ყველაფერი გათავდა. გზაზე დარჩა 18 დამსხვრეული ავტომობილი, მიწაზე ეყარნენ მოკლული გერმანელი ჯარისკაცები. მანქანებიდან გადმოიღეს ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ვაზნებიანი ყუთები, და ტანკებმა თავიანთი გზა განაგრძეს.

ბატალიონმა უკვე თორმეტი კილომეტრი გაიარა მტრის განლაგების სიღრმეში. ხუთი კილომეტრის შემდეგ არის მიზანი: დასაყრდენი პუნქტი, გზების კვანძი, რომლითაც ხდება გერმანელთა ფრონტის დიდი უბნის მომარაგება. გზის უკანასკნელი ნაწილი განსაკუთრებით მძიმე იყო — ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა ღრმა ხრამები, ორმოები.

დასაყრდენ პუნქტში გაიმართა ხანმოკლე ბრძოლა. რუსების ტანკების თავდასხმას არც აქ ელოდნენ. ჯავშანმანქანები გაიშალნენ ფართო ფრონტით ზედ დასახლებულ პუნქტთან და თავიანთი ცეცხლის მთელი ძალით დაატყდნენ თავს მოწინააღმდეგეს.

ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, როცა სატანკო ბატალიონმა შეასრულა თავისი ამოცანა. ღამით, სრულ სიბნელეში, მაშინ როცა არც ერთი მეტრით არ შეიძლებოდა გზაზე გადახვევა, საბჭოთა ტანკისტებმა სწრაფი დარტყმით მოაწყეს ღრმა რეიდი გერმანელთა ზურგში, გზიდან გადააგდეს მტერი და ამით აიძულეს იგი გაეწმინდა ამ გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მდებარე დიდი ტერიტორია. ბატალიონმა ხელთ იგდო გერმანელთა 53 ქვემეხი, ბევრი ტყვიამფრქვევი და სამხედრო მასალა. საბჭოთა ტანკისტებს არც ერთი საბრძოლო მანქანა არ დაუკარგავთ ამ რეიდში, ქვეითმა ჯარმა, რომელიც ტანკებს მიჰყვებოდა, განამტკიცა წარმატება.

ი. დენისოვი.

მოქმედი არმია, 21 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.)

დეპეშები

ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 23 თებერვალი (საქდესი). საომარი მოქმედების ევროპის ასპარეზზე მყოფი ამერიკის სარდლობის შტაბი იუწყება, რომ 22 თებერვალს ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა შენაერთებმა მოახდინეს პირველი კოორდინირებული საჰაერო თავდასხმა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ინგლისისა და იტალიის აეროდრომებიდან. წარმატებით მიიტანეს იერიში თვითმფრინავამწყობ ქარხანაზე „იუნკერს-88" ბერნბურგში. გარდა ამისა, თავს დაესხნენ ფიუზელაჟების ნაწილთა დამამზადებელ ქარხნებს ოშერსლებენსა და გალბერშტადტში. იერიში მიიტანეს საამწყობო ქარხანაზე და „მესერშმიტ-109" თვითმფრინავების ფიუზელაჟთა ნაწილების დამამზადებელ ქარხანაზე რეგენსბურგში. ბომბდამშენთა შენაერთები მოქმედებდნენ ამერიკის გამანადგურებელი ავიაციის, დომინიონების და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების ავიაციის თვითმფრინავთა დიდი შენაერთების დახმარებით. გარდა ამისა, დაბომბილ იქნა აეროდრომები და სხვა სამხედრო ობიექტები ცენტრალურ და სამხრეთ გერმანიაში.

ლონდონი, 23 თებერვალი (საქდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 22 თებერვალს ამერიკის თვითმფრინავებმა მოსპეს მტრის 133 ავიაგამანადგურებელი.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 23 თებერვალი (საქდესი). იტალიაში მოქმედ მოკავშირეთა ჯარების მთავარი ბანაკი იუწყება, რომ ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილებმა ანციოს პლაცდარმის რაიონში მოიგერიეს ადგილობრივი მნიშვნელობის ორი იერიში და ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს. მეხუთე არმიის მთავარ ფრონტზე და ინგლისის მერვე არმიის ფრონტზე მზვერავი ნაწილები და არტილერია აქტივობას იჩენდნენ.

გუშინ „მფრინავი სიმაგრეების" და „ლიბერეიტორების" შენაერთებმა ავიაგამანადგურებელთა თანხლებით იერიში მიიტანეს საავიაციო ქარხნებზე რეგენსბურგში (გერმანია). მძიმე ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის აეროდრომზე ზაგრებში და ცარას და შიბენიკის ნავსადგურებზე (იუგოსლავია). იერიში მიიტანეს აგრეთვე მოწინააღმდეგის მთელ რიგ სხვა ობიექტებზე.

ინგლის-თურქეთის ურთიერთობისათვის

ანკარა, 21 თებერვალი (საქდესი). ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობებით, თურქეთის გემი „ტრაპეზონი", თურქეთისათვის განკუთვნილი სამხედრო მასალებით დატვირთული, დაკავებულ და განტვირთულ იქნა ინგლისელ ხელისუფალთა მიერ ეგეოსის ერთ-ერთ ნავსადგურში.

გაზეთ „თურქიშე პოსტის" დახურვა

ანკარა, 21 თებერვალი (საქდესი). გერმანული გაზეთი „თურქიშე პოსტი", რომელიც სტამბოლში გამოდიოდა, დახურულ იქნა თურქ ხელისუფალთა მიერ ინგლისის საელჩოს გადაჭრილი წარდგინების შედეგად. გაზეთმა მოათავსა დიდი ბრიტანეთის მეფის კარიკატურა.

თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 23 თებერვალი (საქდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 22 თებერვალს ღამით აღინიშნა მოწინააღმდეგის ავიაციის აქტივობა ლონდონზე, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის რაიონებზე, აგრეთვე ცენტრალურ საგრაფოებზე. ბევრ პუნქტში ჩამოყრილია ბომბები, რამაც ზიანი გამოიწვია. არის მსხვერპლი. ჩამოგდებულია გერმანიის სულ ცოტა ექვსი თვითმფრინავი.

75 წელი ელემენტების პერიოდული სისტემის აღმოჩენიდან

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებრიობა აღნიშნავს შესანიშნავ თარიღს რუსული მეცნიერების ისტორიაში—75 წლისთავს დ. ი. მენდელეევის მიერ ელემენტების პერიოდული სისტემის აღმოჩენიდან, და რუსეთის ქიმიური საზოგადოების შექმნიდან, რომელიც შემდეგში გარდაქმნილ იქნა მენდელეევის სახელობის სრულიად-საკავშირო ქიმიურ საზოგადოებად.

პირველი ცნობა პერიოდული კანონის შესახებ დიდმა მეცნიერმა გამოაქვეყნა 1869 წლის მარტში. ქიმიური მეცნიერებისათვის ახალი ხანა დადგა. მენდელეევმა იწინასწარმეტყველა ახალი, მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ელემენტების—გალიუმის, სკანდიუმისა და გერმანიუმის არსებობა, გამოიგონა ახალი უკვამლო დენთი დიდი ყალიბის ქვემეხებისათვის—პიროკოლოდიუმი, წამოაყენა მთელი რიგი პრობლემები, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს — ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაციისა, უშუალოდ მადნიდან რკინის მიღებისა და სხვ. ახლებურად იქნა დაყენებული საკითხები ნავთობის ტექნოლოგიისა, ურალის მეტალურგიისა და დონეცის ქვანახშირის მრეწველობის განვითარებისა.

თავისი არსებობის სამი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქიმიურმა საზოგადოებამ განსაკუთრებული როლი შეასრულა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, მეცნიერული კადრების აღზრდაში. საზოგადოების შრომებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ქიმიკოსები—მენდელეევი (პირველი თავმჯდომარე), მარკოვნიკოვი, კურნაკოვი, ტიშჩენკო, ფავორსკი. მენდელეევის ყრილობებმა, რომლებიც პერიოდულად ხდებოდა უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში, ბევრი ახალი რამ შეიტანეს ქიმიური მეცნიერების ყველა დარგში.

საბჭოთა მთავრობამ უკვდავყო მენდელეევის ხსოვნა იმით, რომ მისი სახელი მიაკუთვნა მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტს და სრულიად-საკავშირო ქიმიურ საზოგადოებას, რომელსაც სათავეში უდგას აკადემიკოსი ბახი. დაწესებულია მენდელეევის სახელობის პრემიები გამოჩენილი მეცნიერული ნაშრომებისათვის.

სრულიად-საკავშირო ქიმიური საზოგადოების საზეიმო საიუბილეო სხდომაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები პერიოდულ კანონსა და მის ავტორზე, ჩვენი ქვეყნის ქიმიური მეცნიერების განვითარებაზე 75 წლის განმავლობაში. გამოდის საბჭოთა მეცნიერების შრომების კრებული, რომელიც მიძღვნილია იუბილესადმი. (საქდესი).

გადავაქციოთ ამიერ-კავკასიის რკინიგზა საბჭოთა კავშირის სანიმუშო მაგისტრალად

სოციალისტური შეჯიბრება ამიერ-კავკასიის რკინიგზის სანიმუშო საწარმოს და სანიმუშო ბრიგადის წოდების უფლების მოსაპოვებლად

ამიერ-კავკასიის რკინიგზის მოწინავე საწარმოთა სტახანოველებმა, კრივონოსელებმა და ლუნინელებმა წინადადება შეიტანეს მოეწყოს საგზაო სოციალისტური შეჯიბრება ამიერ-კავკასიის რკინიგზის სანიმუშო საწარმოს და სანიმუშო ბრიგადის წოდების უფლების მოსაპოვებლად. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ამიერ-კავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა, რომლებმაც მოუწოდეს რკინიგზელებს ფართოდ ჩაებან ამ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რკინიგზის თითოეული საწარმო, თითოეული ბრიგადა, რომელიც ზუსტად შეასრულებს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიიღებს პასპორტს ემბლემით „სანიმუშო საწარმო", „სანიმუშო ბრიგადა". პასპორტს ჩააბარებს საგზაო ჟიური, მას შემდეგ, რაც აღნიშნული საწარმოსა და ბრიგადის მუშაობის მაჩვენებლები შემოწმებული იქნება სპეციალური კომისიის მიერ. შემმოწმებელ კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ—გზის უფროსის მოადგილე, გზის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წარმომადგენელი და სპეციალისტები.

კომისიის მიერ საწარმოს ან ბრიგადის მუშაობის მაღალი მაჩვენებლების დადასტურების, ემბლემიანი პასპორტის გადაცემისა და წოდების მინიჭების შემდეგ სანიმუშო საწარმოს და სანიმუშო ბრიგადის დახასიათება ჩაწერილი იქნება „შრომითი დიდების საგზაო წიგნში".

ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მოწინავე საწარმოთა სტახანოველების, კრივონოსელებისა და ლუნინელების ეს შესანიშნავი ინიციატივა—საგზაო სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადება ამიერ-კავკასიის რკინიგზის სანიმუშო საწარმოსა და სანიმუშო ბრიგადის წოდების უფლების მოსაპოვებლად—წარმოადგენს რკინიგზელთა მასების გამოხმაურებას გზათა სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ ამიერ-კავკასიის რკინიგზის კოლექტივისთვის დასახულ ამოცანაზე—„უახლოეს 2-3 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინიგზა გადავაქციოთ მუშაობაში მოწინავე კულტურისა და მაღალი ტექნიკური აღჭურვილობის სანიმუშო მაგისტრალად საბჭოთა კავშირის რკინიგზების მთელს ქსელში".

ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ ამიერ-კავკასიის რკინიგზელთა წინაშე დასახული ამ ამოცანის შესასრულებლად გაშლილია მუშაობა მთელ გზაზე. ამჟამად გამოცხადებული სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც დღითი დღე ფართოვდება, ხელს შეუწყობს ამ დიდი ამოცანის შესრულებას — ამიერ-კავკასიის რკინიგზის საბჭოთა კავშირის სანიმუშო მაგისტრალად გადაქცევას.

„კოლომბინა" თბილისის მუსკომედიის თეატრში. სურათზე მსახიობები როლებში: თ. მთვარაძე (კოლეტა), დ. ესებუა (ოქტავ), რესპ. დამს. არტისტი ბ. ჩიქილაშვილი (პიკადორი), ნ. თულაშვილი (ეტელკა), ნ. მოსეშვილი (კაიტან), ა. მეწურნიშვილი (მარკიზი), ვ. გერსამია (ჟაპონე), გ. პოლოსოვი (მოცეკვავე), ე. რობენ (მოცეკვავე) და გ. ჭუმბაძე (მეზღვაური).

ფოტო ელ. გინზბურგისა

„კოლომბინა"

თბილისის მუსკომედიის თეატრში

თბილისის მუსკომედიის თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა რიაბოვის ოპერეტა „კოლომბინა". ოპერეტა დაწერილია სიყვარულის თემაზე. ორი მხარე იბრძვის ამ ოპერეტაში. ერთის მხრით—გულწრფელი სიყვარულისათვის მებრძოლნი კოლეტა, ოქტავი, კაიტანი, ხოლო მათ უპირისპირდებიან მარკიზი და პიკადორი, ბრწყინვალე არისტოკრატები, კაბარე-შანტანებში ქეიფით და გარყვნილებით ქანცგამოლეულნი. როგორც წესია, იმარჯვებს ნამდვილი სიყვარული. რიაბოვის მუსიკა სასიამო მოსასმენია, მელოდიური, მხიარული.

დამდგმელი-რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ძნელაძე ახლებურად მიუდგა ოპერეტას. მან უარყო ძველი შაბლონური გაგება. კაბარე, შანტანი და იქ თავაშვებული დროსტარება ძველი ოპერეტული თეატრების დადგმებში იდეალიზებულად იყო წარმოდგენილი. თბილისის მუსკომედიის თეატრმა, პირიქით, გვიჩვენა, რომ კაბარე-შანტანები გარყვნილების ბუდეა. წინა პლანზე წამოწეულია გულწრფელი სიყვარული, მხიარული ცეკვები, ათასგვარი გასართობები, ოპერეტული ხუმრობანი — ყველაფერი ეს არის არა თვითმიზანი, არამედ ხერხი სპექტაკლის დედააზრის გამოსავლინებლად. ამიტომ ოპერეტა თბილისის მუსკომედიის თეატრში ახლებურად ისმის. ამ ახალი გაგების შესაბამისად არის შესრულებული ი. შტენბერგის მშვენიერი მხატვრული გაფორმება. ცეკვები დიდი გემოვნებით არის დადგმული დ. მაჭავარიანის მიერ. პატარა ორკესტრი, რომელსაც ოსტატურად დირიჟორობს ვ. ბარნაბელი, სასიამოვნოდ ჟღერს, კვალდაკვალ მიჰყვება მსახიობებს.

მთავარი როლების შემსრულებელნი სწორად იყენებენ ოპერეტის სპეციფიკურ ხერხებს და სცენიდან გვიჩვენებენ ცოცხალ ადამიანებს. მართალია, ზოგიერთ მსახიობს არა აქვს ძლიერი ხმა, მაგრამ სამაგიეროდ მათ ახასიათებს კარგი თამაში, მხატვრული სახის სწორად გახსნა. თ. მთვარაძის ხმაც ხელს უწყობს და თამაშიც კოლეტას მომხიბვლელი სახის შესაქმნელად. იგივე ითქმის დ. ესებუას შესახებ, რომელმაც ოქტავის სიმპატიური სახე მოგვცა. ჩვეული ოსტატობით არის გაკეთებული ეტელკას როლი ნ. თულაშვილის მიერ. ა. მეწურნიშვილმა გვიჩვენა აქტიორული გარდაქმნის საუცხოო ნიმუში. მისი მარკიზი დეგენერატი არისტოკრატის ტიპიური წარმომადგენელია. იგივე ითქმის რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ბ. ჩიქილაშვილის პიკადორზე. ნ. მოსეშვილის კაიტანი, ვ. გერსამიას ჟაპონე დასამახსოვრებელი სახეებია. დიდი წარმატებით სარგებლობს ს. ვეკუას, ე. რობენის, მ. გელოვანის, გ. პოლოსოვის ცეკვები.

„კოლომბინას" პრემიერა მუსკომედიის თეატრში მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ზ. რიონელი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება სამამულო ომის დღეებში

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ სამამულო ომის ვითარებაში სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა თავისი მუშაობა. მედსანიტარული კადრების მასობრივად მომზადების გარდა, ჩვენს წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანები: მუშაობის გაშლა ევაკოჰოსპიტლებში, მძიმე ავადმყოფთა პალატებში მორიგეობის შემოღება, ფრონტელთა ოჯახებისათვის და სამამულო ომის ინვალიდებისათვის დახმარება, ჯანმრთელობის ორგანოებთან ერთად ეპიდემიებთან ბრძოლა და სხვ.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ 1943 წლის მანძილზე სერიოზული მუშაობა გაშალა, ყველა თავისი წლიური საკონტროლო დავალება სამი კვარტალის განმავლობაში შეასრულა, ხოლო მეოთხე კვარტალში შესრულებული სამუშაო უკვე გეგმის გადამეტებით არის გაწეული წითელი ჯვრის საზოგადოების სისტემაში გაშლილი სოცშეჯიბრების საფუძველზე. გარდა იმ შემოსავლისა, რაც საზოგადოებას აქვს საწევრო ანარიცხების შეგროვებით და რაც გადაჭარბებით იქნა შესრულებული ახალი წევრების მოზიდვით, ნებაყოფლობითს საფუძველზე შეგროვდა 600.000 მანეთი „წითელი ჯვრის სანიტარული ესკადრილიის" აგების ფონდში. საქართველოს წითელი ჯვრის მრავალმა ორგანიზაციამ მოაწყო სანიტარულ-თავდაცვითი საღამოები, რომელთა შემოსავალი გადარიცხულ იქნა ფრონტისადმი დახმარების ფონდში.

საქართველოს წითელი ჯვრის მუშაობის გაძლიერების შედეგად გურჯაანის, ბაშკიჩეთის, ლანჩხუთის და სხვა ორგანიზაციებმა, რომლებიც წინათ ჩამორჩენილი იყვნენ, 1943 წელს მოწინავე ადგილები დაიკავეს. ა. წ. 31 იანვარს საქ. სსრ წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა აფხაზეთის ასსრ წითელი ჯვრის საოლქო კომიტეტს (თავმჯდომარე ამხ. პაპასქუა-ჯიქიძე), ხოლო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საკავშირო საზოგადოების აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის კომიტეტს (თავმჯდომარე ამხ. ოსიპოვი).

პ. მეუნარგია

საქართველოს წითელი ჯვრის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მივაწოდოთ ბავშვებს მაღალმხატვრული წიგნი

მწერალთა სასახლეში საბავშვო ლიტერატურის სექციის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მწერლები, პედაგოგები, მხატვრები და საგამომცემლო დარგის მუშაკები, ამხ. ნ. ჩახავამ წაიკითხა მოხსენება „ქართული საბავშვო წიგნი სამამულო ომის პერიოდში". მომხსენებელმა გააკეთა ვრცელი მიმოხილვა საბლიტგამის, სამხატვრო ფონდისა და „ტექნიკა და შრომის" მიერ ამ პერიოდში გამოცემული საბავშვო წიგნებისა. ამ წიგნების უმრავლესობა სამამულო ომის თემატიკაზეა აგებული. მათში მოთხრობილია პატარა ბავშვების მონაწილეობა სამამულო ომში. მაგრამ ეს ამბები ხშირად მოთხრობილია სქემატურად და ზოგიერთ შემთხვევაში სიუჟეტის განვითარება დამაჯერებელ ლოგიკურ დასკვნამდე ვერ მიდის. მომხსენებელმა ამ დებულების საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითი მოიტანა. მან აგრეთვე მიუთითა, რომ მეტად მდარეა ამ წიგნების ილუსტრაციები.

მომხსენებელმა ამავე დროს ვრცლად დაახასიათა ამ პერიოდში საბლიტგამის მიერ გამოცემული კარგი საბავშვო წიგნები: გრ. აბაშიძის „ნაბოლარა წიწილა", ი. გრიშაშვილის წიგნები, ლიდია მეგრელიძის „მთის ლურჯა" და სხვ.

დასასრულ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ნ. ნაკაშიძემ, ი. ტატიშვილმა, ლ. მეგრელიძემ, კ. ჰანტურიშვილმა, ს. ავჩიანმა, ი. სიხარულიძემ, ვ. წულუკიძემ, მ. ჭავჭანიძემ და ი. გრიშაშვილმა.

კამათში გამოსული ამხანაგები ეთანხმებოდნენ მომხსენებელს და მოითხოვდნენ, რათა საბავშვო წიგნი, სანამ იგი დაიბეჭდებოდეს, განხილულ იქნას მწერალთა და პედაგოგების ფართო წრეებში; გარდა ამისა, ისინი გამოთქვამდნენ სურვილს, რათა საბავშვო წიგნის გამოცემა მხოლოდ საბლიტგამს ჰქონდეს მინდობილი და მასთან შეიქმნეს მწერლების, მხატვრებისა და პედაგოგებისაგან შემდგარი სამხატვრო საბჭო, რომელიც ფართო საზოგადოებრივი კონტროლის როლს შეასრულებს საბავშვო წიგნის გამოცემის საქმეში და დაეხმარება საბლიტგამს ბავშვებისათვის გამოსცეს უფრო მაღალმხატვრული ლიტერატურა.

კავშირგაბმულობის სამტრედიის რაიონის კანტორა მოწინავეთა რიგებში

8 თებერვალს შესდგა ჟიურის სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის რაიონულ კანტორებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1944 წლის იანვარში.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჟიურიმ გამარჯვებულად აღიარა კავშირგაბმულობის სამტრედიის რაიონული კანტორა (უფროსი ამხ. ლ. ახობაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. რამიშვილი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხვიჩია), რომელსაც გადაეცა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქ. სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 3.000 მანეთი.

ჟიურიმ აღნიშნა აგრეთვე კავშირგაბმულობის, ბოლნისის რაიონული კანტორის კარგი მუშაობა 1944 წლის იანვარში (კანტორის უფროსი ამხ. ემცი).

იუგოსლავია

იუგოსლავიის გმირული ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ და ამჟამად იქ შექმნილი მდგომარეობა მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ყურადღებას იპყრობს. რას წარმოადგენს ეს ქვეყანა, რომელიც ორ წელიწადნახევარზე მეტია აკავებს გერმანელთა 30 დივიზიას და გამანადგურებლად ურტყამს ჰიტლერელებს?

იუგოსლავიის სახელმწიფო 1918 წელს შეიქმნა იმ ტერიტორიაზე, რაც პირველ მსოფლიო ომამდე ეკავათ სერბიას, ჩერნოგორიას, ბოსნიას, ჰერცეგოვინას, ხორვატიას, სლოვენიას, დალმაციას, მაკედონიის ნაწილს და იმ სავოევოდოებს, რომლებიც სახელმწიფოში გაერთიანდნენ „სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს" სახელწოდებით. მნიშვნელოვანწილად იუგოსლავია მთიანი, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. მას აგრეთვე ძვირფასი წიაღისეული აქვს—ქვანახშირი, რკინა, სპილენძი, ბოქსიტები, ტყვია, თუთია, მარგანეცი, ოქრო და ვერცხლი. მრეწველობა სუსტად არის განვითარებული. მოსახლეობა 1939 წლის მონაცემებით 15.703 ათას კაცს შეადგენს.

კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანამ იუგოსლავიამ (კარაგეორგიევიჩების დინასტია) 1929 წელს შემდეგი ცვლილება განიცადა: ალექსანდრე კარაგეორგიევიჩმა გააუქმა კონსტიტუცია და დაშალა ყველა პოლიტიკური პარტია. აიკრძალა ერების სახელწოდებანიც—ხორვატები, სერბები, სლოვენები, მათი დროშები, ჰიმნები, ორგანიზაციები და მის ნაცვლად შეიქმნა იუგოსლავიის სამეფო.

როცა მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჰიტლერის პირდაპირი აგენტი სტოიადინოვიჩი (1935 წ.), იუგოსლავიამ მთელი რიგი ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი დადვა გერმანიასთან. მიუხედავად სსრ კავშირთან 1940 წელს დამყარებული დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობისა, იუგოსლავიის მთავრობა მაინც ატარებდა ანტისაბჭოთა პოლიტიკას.

1941 წლის 25 მარტს პრემიერ-მინისტრმა ცვეტკოვიჩმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ცინცარ-მარკოვიჩმა ხელი მოაწერეს ოქმს გერმანიის, იტალიისა და იაპონიის პაქტთან იუგოსლავიის შეერთების შესახებ. ამის გამო ორი დღის შემდეგ სამხედრო-საჰაერო ძალთა მთავარსარდალმა გენერალმა სიმოვიჩმა მოახდინა გადატრიალება და ტახტის უფლება გადაეცა 17 წლის პეტრე მეორეს. გერმანიამ დაუყოვნებლივ მოითხოვა 25 მარტის შეთანხმებათა აღდგენა და იუგოსლავიის არმიის დემობილიზაცია. იმავე წლის 5 აპრილს იუგოსლავიამ ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულებას მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. მეორე დღეს, 6 აპრილს, გერმანია თავს დაესხა იუგოსლავიას, მხეცურად დაბომბა მისი ქალაქები. იუგოსლავიის არმიის ბევრი ნაწილი შეუპოვრად ებრძოდა გერმანია-იტალიის ჯარებს. 17 აპრილს კი იუგოსლავიის არმიამ კაპიტულაცია მოახდინა. გერმანელებმა ხელთ იგდეს 300 ათასამდე ტყვე.

მაგრამ იუგოსლავიის ათეულ ათასობით ჯარისკაცები იარაღით ხელში გაიქცნენ სერბიის, ხორვატიის, ბოსნიისა და ჩერნოგორიის მთებში. აქედან წარმოსდგა შემდეგ მძლავრი სახალხო-განმათავისუფლებელი არმია, რომელსაც ამჟამად მეთაურობს უმაღლესი მთავარსარდალი, ლეგენდარული მარშალი იოსიპ ბროზ-ტიტო.

გერმანელმა ფაშისტებმა და მათმა იტალიელმა მარიონეტებმა მხეცურად აწამეს იუგოსლავიის ხალხი. მარტო პირველ სამ თვეს ჰიტლერელებმა ამოხოცეს 80.000 კაცი. გერმანელებმა მიითვისეს სლოვენიის ჩრდილოეთი ნაწილი, ხოლო მისი სამხრეთი ნაწილი ქალაქ ლიუბლიანით იტალიას შეუერთეს. მასვე გადასცეს აგრეთვე ჩრდილოეთი დალმაცია, ჩერნოგორია და კოსოვო. ძარცვაში მონაწილეებს—ბულგარეთს — მაკედონიის ნაწილი და უნგრეთს—სავოევოდოების დიდი ნაწილი შეუერთეს. ხორვატიის, ბოსნიის, ჰერცეგოვინისა და სამხრეთ დალმაციისაგან შექმნეს ე. წ. ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის მარიონეტული მთავრობის სათავეში ჰიტლერელი აგენტი პაველიჩი დააყენეს. სერბიაში შექმნეს კვისლინგური მთავრობა, რომლის მეთაურად ძველი ჯაშუში და ჰიტლერის აგენტი გამცემი ნედიჩი წამოასკუპეს. სლოვენია იტალიასთან ერთად გაიყვეს. ქვეყანა მთლიანად გაძარცვეს ეკონომიურად. უსასტიკესი ტერორით, უდანაშაულო ადამიანთა მასობრივი ამოწყვეტით დაიწყეს ჰიტლერელებმა მხეცური „ახალი წესრიგის" დამყარება იუგოსლავიაში. მთელი რიგი ქალაქები და სოფლები, რომლებიც ოკუპანტებს წინააღმდეგობას უწევდნენ, ჰიტლერელებმა პირისაგან მიწისა აღგავეს. მაგრამ იუგოსლავიის ხალხების წინააღმდეგობა დამპყრობლებისადმი კი არ შესუსტებულა, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს.

მიუხედავად იარაღისა და სურსათის ნაკლებობისა, პარტიზანებმა ჯერ კიდევ 1941 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ათობით ქალაქი გაათავისუფლეს ოკუპანტებისაგან. გერმანელებმა პარტიზანთა მოსპობის მიზნით, იმავე წლის ნოემბერში დაიწყეს შეტევა და ორნახევარი წლის მანძილზე მტრის დიდი ძალებით 6-ჯერ მოწყობილი შეტევა მამაცმა პატრიოტებმა არა მარტო წარმატებით მოიგერიეს, არამედ დღეს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მიერ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულია 80 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია, მთელი იუგოსლავიის ერთ მესამედზე მეტი; ტიტოს არმია და პარტიზანები ამჟამად კონტროლს უწევენ იუგოსლავიის ნახევარზე მეტ ტერიტორიას.

ტიტოს არმია, რომელიც ამჟამად 250.000 კაცს ითვლის და 5 ათასზე მეტი ოფიცერი ჰყავს, ებრძვის მტრის 30 დივიზიას. მას ბრძოლა უხდება არა მარტო გერმანელთა და ბულგარელთა, არამედ პაველიჩის ხორვატული ნაწილების, ნედიჩის ჟანდარმებისა და სტრაჟნიკების, აგრეთვე გენ. დრაჟა მიხაილოვიჩის—ემიგრანტული მთავრობის სამხედრო მინისტრის ჩეტნიკების წინააღმდეგ. გამცემმა მიხაილოვიჩმა 1941 წელს პარტიზანების მიერ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე შეადგინა თავისი რაზმები თითქოს გერმანელებთან საბრძოლველად, მაგრამ მან თავიდანვე აშკარად ოკუპანტებს დაუჭირა მხარი. ტიტოს არმიის ნაწილებმა ხელთ იგდეს ღირძალი დოკუმენტები, რომლებიც ამხელენ მიხაილოვიჩისა და მისი ჩეტნიკების კავშირს ჰიტლერელებთან.

სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ სერიოზული დახმარება გაუწია მოკავშირეებს ჩრდილოეთ აფრიკაში ოპერაციების დროს, როცა იგი თავისკენ იზიდავდა იტალიელთა 15 დივიზიას. ასევე დიდი როლი ითამაშეს მათ იტალიის კაპიტულაციაში. მათ შესძლეს იტალიელთა 16 დივიზიიდან 10 დივიზიის განიარაღება. ტიტოს არმიას ფართოდ უჭერს მხარს იუგოსლავიის ყველა ხალხი, ყველა სარწმუნოების ადამიანები და პოლიტიკური პარტიების თუ ჯგუფების წარმომადგენლები.

1942 წლის 26-27 ნოემბერს მტრისაგან განთავისუფლებულ ქალაქ ბიხაჩში შესდგა იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩე, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დოქტორი ივან რიბარი. 1943 წლის 29 ნოემბერს ქ. იაიცეში შესდგა ვეჩეს მეორე სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი ვეჩეს გარდაქმნისა უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოდ და იუგოსლავიის განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტის შექმნის შესახებ ნაციონალური მთავრობის უფლებებით. პრეზიდიუმის შემადგენლობა იუგოსლავიის ყველა ხალხის ერთიანობისა და ძმობის მკაფიო დემონსტრაციას წარმოადგენს. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ივან რიბარი, ხოლო ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარედ მარშალი იოსიპ ბროზ-ტიტო. ვეჩემ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილებები იუგოსლავიის წყობილების ფედერატიული პრინციპის შესახებ, რაც უზრუნველყოფს იუგოსლავიის ყველა ხალხის სრულ თანასწორუფლებიანობას.

1943 წლის 14 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიუროს ცნობაში გარკვეულია საბჭოთა მთავრობის პოზიცია იუგოსლავიისადმი. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ იუგოსლავიის ამ ამბებს, რასაც თანაგრძნობით გამოეხმაურნენ ინგლისსა და ამერიკაში, საბჭოთა მთავრობა განიხილავს როგორც დადებითს ფაქტებს, ამასთან უარყოფითად ხედავს გენ. მიხაილოვიჩის ჩეტნიკების საქციელს.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია მარშალ ტიტოს მეთაურობით გმირულად იბრძვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ და სამართლიანად იმსახურებს მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სიმპატიას.



პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

თეატრებში

24 თებერვალს: საოპერა—სიმფონიური კონცერტი. რუსთაველი—„კრწანისის გმირები". მარჯანიშვილის—„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". სომხური — „მელადე"-ახუნდოვის—„ფაჰრად და შირინი". მუსკომედიის—„ოქროს გასაღები". მოზარდი მაყურებლის—ქართული—„სურამის ციხე". ხანკულტურის—„სტუმარ-მასპინძლობა".

კინოებში

24 თებერვალს: რუსთაველი—„სასამართლო მოდის". ოქტომბერი—„ფრონტი". დამკვრელი—„წყალქვეშა ნავი ტ-9". კომკავშირელი—„მისია მოსკოვში". ლუქსემბურგის სახ.—„იუდენიჩის განადგურება". სპარტაკი—„ურინარი იანი". 26 კომ. სახ.—„ის იცავს სამშობლოს".

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნინო, შვილები ოთარი და იზა იუწყებიან

კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის

გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-03-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-34, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-88, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-30-34, წერილების—5-73-24, მიღებისა და გამოშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 91.800

უე 00068